11031001800277429 6
04.08.2022

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N6 ტელ.: 2 98 20 94 (56 24 შიდა)

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

ბს-715(კ-22)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას
მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის N109

გეგზავნებათ ხარვეზის შევსების შედეგად საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივლისის განჩინების ასლი.

მოსამართლის თანაშემწე **ანა თურმანიძე**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

110310018002774296

1369859235355

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ხარვეზის შევსების შედეგად საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

საქმე №ბს-715 (კ-22) **29 ივლისი, 2022 წელი**

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე თამარ ოქროპირიძემ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 396-ე, 397-ე მუხლების შესაბამისად, შევამოწმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 მარტის განჩინებაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები (მოწინააღმდეგე მხარე - მიხეილ რობაქიძე).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხარვეზის შევსების შემდეგ, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-397-ე მუხლების მოთხოვნებს და ექვემდებარება წარმოებაში მიღებას.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 34-ე მუხლით, მე-4, მე-19 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 მარტის განჩინებაზე;
2. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა შემოწმდეს მხარეთა დასწრების გარეშე;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე: თ. **თამარ ოქროპირიძე**